საქართველოს უნივერსიტეტი
ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა
სადოქტორო პროგრამა: საზოგადოებრივი ჯანდაცვა

სადისერტაციო მაცნეს შესრულების ინსტრუქცია

ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატს შეეცვალა სახელწოდება და მას ეწოდა სადისერტაციო მაცნე. სადისერტაციო მაცნე წარმოადგენს სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომის რეფერირებულ აღწერას.

სადისერტაციო მაცნე შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

შესავალი:

- თემის აქტუალობა, საკვლევი საკითხი
- კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები
- ნაშრომის სამეცნიერო სიახლე და პრაქტიკული ღირებულება
- დაცვაზე გამოტანილი ძირითადი დებულება (ან აღმოჩენა, ნოუ-ჰაუ, ან საკითხის გადაჭრა/პრობლების დახურვა, ან კვლევის ახალი მიმართულება)
- ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა
- აპრობაცია

ნაშრომის ძირითადი ნაწილი:

- კვლევის ძირითადი შედეგების რეზიუმე (სამიზნე ჯგუფები, კვლევის ინსტრუმენტი და მეთოდები, მიღებული შედეგები, ილუსტრირებული რამოდენიმე საკვანძო ცხრილით და/ან გრაფიკით)
- დასკვნები
- რეკომენდაციები
- დისერტაციის თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციების ნუსხა

სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციების ნუსხაში მიეთითება ავტორის და თანაავტორის სახელი, გვარი, ნაშრომის სათაური; გამომცემლობა, წელი. თუ ნაშრომი

ჟურნალშია (ალმანახში, კრებულში) გამოქვეყნებული, მიეთითება ჟურნალის (ალმანახის, კრებულის) დასახელება, წელი, ნომერი და გვერდები, ელექტრონული პუბლიკაციის შემთხვევაში მიეთითება ლინკი).

სადისერტაციო მაცნეს ქართულ ვერსიას უნდა დაერთოს მისი სრული თარგმანი ინგლისურ ენაზე. სადისერტაციო მაცნეს საერთო მოცულობა - მაქსიმუმ 50 გვ.

სადისერტაციო მაცნე სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე უნდა გამოქვეყნდეს და დაიგზავნოს.

სადისერტაციო მაცნეს ტექნიკური გაფორმება

სადისერტაციო მაცნე წარედგინება საბჭოს წევრებს აკინძული და ყდაში ჩასმული, ხოლო შესაბამის სექციას ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (კომპაქტდისკზე - CD).

1. ფორმატი: A 5;
2. გვერდების რაოდენობა: მაქსიმუმ 50 (ამ რაოდენობაში შედის ქართული და ინგლისური ტექსტი);
3. შრიფტი: Unicode (Sylfaen). ტექსტის ზომა - 10, თავის სათაურის ზომა - 12, პარაგრაფის სათაურის ზომა - 11, ინტერვალი - 1.0;
4. მინდორი: ფურცლის ოთხივე მხარეს 20 მილიმეტრი;
5. კინძვა: ბროშურის ტიპის კინძვა;
6. ნუმერაცია პირველი გვერდიდან;

სადისერტაციო მაცნის თავფურცელის (სატიტულო გვერდი) გაფორმების წესი:

- ✓ თავფურცლის (გვერდის) ზემო შუა ნაწილში „საქართველოს უნივერსიტეტის“ ლოგო
- ✓ თავფურცლის (გვერდის) ზემო შუა ნაწილში მიეთითება უნივერსიტეტის სრული დასახელება: „საქართველოს უნივერსიტეტი“ (შრიფტი: Sylfaen 11);
- ✓ თავფურცლის (გვერდის) ზემო შუა ნაწილში მიეთითება სკოლის სახელი: ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა (შრიფტი: Sylfaen 11);
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სადოქტორო პროგრამა: საზოგადოებრივი ჯანდაცვა (შრიფტი: Sylfaen 11);
- ✓ „ხელნაწერის უფლებით“ მარჯვნივ (შრიფტი: Sylfaen 10, Italic);
- ✓ დისერტანტის სახელი და გვარი მარცხნივ (შრიფტი: Sylfaen 12, Bold);
- ✓ შუა ნაწილში სადისერტაციო თემის სრული სათაური (შრიფტი: Sylfaen 14, Bold);
- ✓ მისანიჭებელი კვალიფიკაცია- საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის“ (შრიფტი: 11)
- ✓ „სადისერტაციო მაცნე“ შუაში (შრიფტი: Sylfaen 14, Bold);
- ✓ (სპეციალობა- 0904 - საზოგადოებრივი ჯანდაცვა) (შრიფტი: 11);
- ✓ თბილისი (შრიფტი: 11);
- ✓ თარიღი (შრიფტი: 11);

დოქტურანტურის დებულების დანართი N 14
დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2025 წლის 20 იანვრის N 02/25 ოქმით

სადისერტაციო მაცნეს სატიტულო ყდისა და მეორე გვერდის გაფორმების ნიმუში:

საქართველოს უნივერსიტეტი
ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა
სადოქტორო პროგრამა: საზოგადოებრივი ჯანდაცვა

ხელნაწერის უფლებით

სახელი და გვარი

(სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება)

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე

(სპეციალობა- 0904 - საზოგადოებრივი ჯანდაცვა)

თბილისი
2019

მეორე გვერდი

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლაში.

სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა:
თავმჯდომარე: სახელი გვარი, ხარისხი, წოდება
სამეცნიერო ხელმძღვანელი: სახელი გვარი, ხარისხი, წოდება
თანახელმძღვანელი (არსებობის შემთხვევაში): სახელი გვარი, ხარისხი, წოდება
შიდა ექსპერტი: სახელი გვარი, ხარისხი, წოდება
გარე ექსპერტი: სახელი, გვარი, ხარისხი, წოდება
გარე ექსპერტი: სახელი, გვარი, ხარისხი, წოდება

დისერტაციის დაცვა შედგება 201__ წლის „_____“ _____ _____ საათზე
მისამართი: თბილისი, კოსტავას 77ა, #519 აუდიტორია.
დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 201__ წლის „_____“ _____

სადისერტაციო საბჭოს მდივანი: სახელი გვარი
_____